

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ძირითადი საშუალებები	18
6. საინვესტიციო ქონება	19
7. იჯარა	19
8. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	19
9. მარაგები	20
10. საგადასახადო აქტივი	20
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
13. საწესდებო კაპიტალი	23
14. მიღებული სესხები	23
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
16. ამონაგები	24
17. მარაგების ჩამოწერის ხარჯი	25
18. სხვა საოპერაციო ხარჯები	25
19. მოგების გადასახადის ხარჯი	25
20. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი	26
21. წინა წლის რეკლასიფიკაცია	28
22. პირობითი ვალდებულებები	28
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ვეზირის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვეზირის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აღიარა ამონაგები 15,121,452 ლარისა და 15,932,596 ლარის ოდენობით, შესაბამისად. კომპანიის ამონაგების ნაწილი აღიარდება დროთა განმავლობაში და გადადის წლიდან წელში. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება შესრულებული სამუშაოს შესრულების პროპორციაზე, ღირებულებით 1,675,009 ლარი და 152,213 ლარი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, თუ რამდენად სწორად და სრულად არის აღიარებული ამონაგები აღნიშნულ პერიოდებში. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული გზითაც მოგვეპოვებინა მტკიცებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შესრულებული სამუშაოს პროპორციის სისწორის შესახებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, ამონაგებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებთან დაკავშირებით რაიმე სახის კორექტირება.

კომპანიამ 2019 წელს შეიძინა 33.33%-იანი წილი მეკავშირე საწარმოში, რაშიც გადაიხდა 180,772 ლარი. კომპანიას არ გაუკეთებია ინვესტიციის შეძენის მომენტში მეკავშირე საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო რეალური ღირებულების კომპანიის წილის შეფასება და შედარება ინვესტიციის თვითღირებულებაზე, როგორც მოთხოვნილია ბასს 28-ით „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“. ასევე, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მეკავშირე საწარმოს საქმიანობის შედეგებზე შეძენის მომენტიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, ინვესტიციის საწყისი აღიარებისა და შემდგომი აღრიცხვის სისწორეზე და სისრულეზე. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, რაიმე სახის კორექტირება მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციასთან და მეკავშირე საწარმოში კომპანიის წილ მოგება-ზარალთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა

ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და

არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:
დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
22 ივნისი, 2020 წელი

შპს „ვეზირი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	503,041	645,114
საინვესტიციო ქონება	6	294,988	294,988
აქტივის გამოყენების უფლება	7	454,418	-
არამატერიალური აქტივები		27,500	32,500
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	8	26,673	-
		1,306,620	972,602
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	1,931,306	1,309,185
საგადასახადო აქტივები	10	107,704	77,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,722,031	1,592,691
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,436,435	2,292,891
		6,197,476	5,271,936
სულ აქტივები		7,504,096	6,244,538
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,410	1,410
გაუნაწილებელი მოგება		1,436,831	3,575,027
სულ კაპიტალი		1,438,241	3,576,437
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	7	376,982	-
		376,982	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	512,832	133,830
საიჯარო ვალდებულება	7	136,523	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,039,518	2,534,271
		5,688,873	2,668,101
სულ ვალდებულებები		6,065,855	2,668,101
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,504,096	6,244,538

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისს შემდეგ პირების მიერ:

დირექტორი _____ პაატა აროშიძე
ფინანსური მენეჯერი _____ გიორგი პარკაია

10-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018*
ამონაგები	16	15,121,452	15,932,596
მარაგების ხარჯი	17	(5,558,776)	(3,384,204)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(7,039,449)	(9,102,618)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	5, 7	(341,310)	(166,175)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	11	64,223	(100,306)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(866,096)	(1,050,014)
საოპერაციო მოგება		1,380,044	2,129,279
წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში	8	(154,099)	-
ზარალი საკუთრო სხვაობიდან, წმინდა		(44,250)	(26,421)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(181,336)	(10,271)
მოგება დაბეგვრამდე		1,000,359	2,092,587
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(470,783)	(471,236)
მთლიანი სრული შემოსავალი		529,576	1,621,351

*წინა წლის რეკლასიფიკაცია მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

შპს „ვეზირი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,410	4,624,013	4,625,423
მთლიანი სრული შემოსავალი დივიდენდის გაცემა	-	1,621,351 (2,670,337)	1,621,351 (2,670,337)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,410	3,575,027	3,576,437
მთლიანი სრული შემოსავალი დივიდენდის გაცემა	-	529,576 (2,667,772)	529,576 (2,667,772)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,410	1,436,831	1,438,241

10-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე:	1,000,359	2,092,587
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	341,310	166,175
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	181,336	10,271
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(64,223)	100,306
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	(835)	-
წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში	154,099	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	71,488	-
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა ზარალი	44,250	26,421
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	1,727,784	2,395,760
<i>შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:</i>		
მარაგები	(693,609)	(112,519)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(959,283)	760,473
საგადასახადო აქტივი	(30,535)	170,272
<i>(შემცირება) /ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,482,050	2,048,743
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტამდე	2,526,407	5,262,729
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(147,356)	(10,271)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(43,108)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(470,783)	(471,236)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	1,865,160	4,781,222
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(68,625)	(136,692)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	17,798	-
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტის მიღება	9,128	-
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(180,772)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(222,471)	(136,692)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხის დაფარვა	(141,753)	-
სესხის აღება	505,823	133,445
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა	(124,895)	-
გადახდილი დივიდენდები	(2,667,772)	(2,670,337)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(2,428,597)	(2,536,892)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(785,908)	2,107,638
ფულისა და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისთვის	2,292,891	158,169
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(70,548)	27,084
ფულისა და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,436,435	2,292,891

10-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვეზირი“ დაფუძნდა 1996 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204892296. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქუჩა # 7.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების გაყიდვა, მონტაჟი და შემდგომი მომსახურება, ასევე დაცვის მომსახურება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	წილი კაპიტალში
პაატა აროშიძე	43%
დავით გამცემლიძე	42%
გრიგოლ ცაავა	15%
	100%

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია 25-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შპს „ვეზირის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში. როგორც 24-ე შენიშვნაშია მოცემული, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კოვიდ 19-ის გავლენა საწარმოს ფუნქციონირებაზე: საქართველოს მთავრობის 181-ე დადგენილების თანახმად კომპანიის საქმიანობა დაცვითი მომსახურებაზე არ შეზღუდულა. შესაბამისად, კომპანიას არ შეუწყვეტია საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით. 2020 წლის ივნისიდან კი სრულად განაახლა საქმიანობა დანარჩენი მიმართულებითაც. აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობას არ აქვს მოლიდინი, რომ აღნიშნული ფაქტი არსებითად უარყოფითად იმოქმედებს საწარმოს ფუნქციონირებაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან და არსებით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არის შემდეგი:

- ფასს 16 „იჯარა“

გავლენა, რომელიც აღნიშნულმა სტანდარტმა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია მე-20 შენიშვნაში. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია ბასსკ-ის მიერ და ძალაში შევა მომდევნო წელს, არ არის მოსალოდნელი, რომ გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ისინი ან არ არიან რელევანტური კომპანიის საქმიანობასთან ან კომპანიას უკვე აქვს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც თავსებადია მათთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს, ესენია:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **ფინანსური აქტივების გაუფასურება** - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

- **დაბეგვრა** - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

- **იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები** - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე, მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სხვა ფინანსური აქტივები
- სხვა ფინანსური ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულება
- მიღებული სესხები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,436,435	2,292,891
სხვა ფინანსური აქტივები	615,637	1,526,223
	2,052,072	3,819,114

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზემოთ მოცემული თანხები არის გაუფასურების რეზერვთან დანეტილი თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაწესებად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა ფინანსური ვალდებულება გარდა საიჯარო ვალდებულებისა არის მოკლევადიანი და შეადგენს 900,435 ლარსა და 450,562 ლარს, შესაბამისად. საიჯარო ვალდებულების ვადიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	12	76,572	1,359,863	-	-	1,436,435
სხვა ფინანსური აქტივები	11	615,637	-	-	-	615,637
		692,209	1,359,863	-	-	2,052,072

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
სხვა ფინანსური ვალდებულებები	15	200,792	57,680	129,131	-	387,603
საიჯარო ვალდებულება	7	-	513,505	-	-	513,505
მიღებული სესხები	14	-	186,401	-	326,431	512,832
		200,792	757,586	129,131	326,431	1,413,940
ღია საბალანსო პოზიცია		491,417	602,277	(129,131)	(326,431)	638,132

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	12	512,602	1,780,289	2,292,891
სხვა ფინანსური აქტივები	11	1,526,223	-	1,526,223
		2,038,825	1,780,289	3,819,114
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	15	141,515	175,220	316,735
მიღებული სესხები	14	-	133,830	133,830
		141,515	309,050	450,565
ღია საბალანსო პოზიცია		1,897,310	1,471,239	3,368,549

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის მგრძნობელობა	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	120,455	(120,455)	294,248	(294,248)
ევროს ეფექტი	(25,826)	25,826	-	-
ფუნტის ეფექტი	(65,286)	65,286	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობაზე. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი მიღებულ სესხზე და საიჯარო ვალდებულებაზე. კომპანიის ყველა საპროცენტო განაკვეთის მატარებელ ფინანსურ ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები	9,128	101,244
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	(1,026,337)	(133,830)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	(1,017,209)	(32,586)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	385,502	281,468	1,024,366	66,967	1,758,303
შემოსვლა	29,254	1,669	105,769	-	136,692
გასვლა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	414,756	283,137	1,130,135	66,967	1,894,995
შემოსვლა	25,831	42,794	-	-	68,625
გასვლა	-	-	(65,227)	-	(65,227)
2019 წლის 31 დეკემბერი	440,587	325,931	1,064,908	66,967	1,898,393
დაგროვილი ცვეთა					
2017 წლის 31 დეკემბერი	(238,965)	(225,571)	(587,923)	(36,247)	(1,088,706)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(40,327)	(11,172)	(102,979)	(6,697)	(161,175)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	(279,292)	(236,743)	(690,902)	(42,944)	(1,249,881)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(42,879)	(14,247)	(129,912)	(6,697)	(193,735)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	48,264	-	48,264
2019 წლის 31 დეკემბერი	(322,171)	(250,990)	(772,550)	(49,641)	(1,395,352)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	135,464	46,394	439,233	24,023	645,114
2019 წლის 31 დეკემბერი	118,416	74,941	292,358	17,326	503,041

ისეთი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელთა საბალანსო ღირებულებაც ნულია და კომპანია ისევ იყენებს წარმოადგენს 395,644 ლარსა და 372,08 ლარს, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

6. საინვესტიციო ქონება

კომპანიის ბალანსზე არსებული საინვესტიციო ქონება წარმოადგენს 1,900 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთს სოფელ დილოში. კომპანიას აღნიშნული აქტივი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგირავებული აქვს სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ, მიღებული სესხის სანაცვლოდ.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

7. იჯარა

კომპანია ქირაობს სათავო ოფისს. ამ ფართის იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია აშშ დოლარში.

აქტივის გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
1 იანვარი 2019	596,993
ამორტიზაცია	(142,575)
31 დეკემბერი 2019	454,418

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი
1 იანვარი 2019	596,993
საპროცენტო ხარჯი	43,108
საიჯარო გადახდები	(168,003)
საკურსო სხვაობა	41,407
31 დეკემბერი 2019	513,505

საიჯარო ვალდებულების ლიკვიდურობის ანალიზი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 2 წლამდე	2 დან 5 წლამდე	სულ
საიჯარო ვალდებულება	136,523	147,596	229,386	513,505

8. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

2019 წლის 22 მაისს კომპანიამ შეიძინა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში შპს „ჯეონატურალსში“ 33.33%-იანი წილი, რაშიც გადაიხადა 180,772 ლარი (65,000 აშშ დოლარი).

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

2018 წლის 31 დეკემბერი	-
ინვესტიციის შეძენა მეკავშირე საწარმოში	180,772
მეკავშირე საწარმოს პერიოდის მოგება-ზარალის ინვესტორის წილი	(154,099)
2019 წლის 31 დეკემბერი	26,673

2019 წლის პერიოდში არ მომხდარა მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის განაწილება.

შპს „ჯეონატურალსი“ მოღვაწეობს საქართველოში. მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს დაკონსერვებული საკვები პროდუქტების წარმოება, ვაჭრობა და დისტრიბუცია.

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. ინვეტიცია მეკავშირე საწარმოში (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019
მიმდინარე აქტივები	376,050
გრძელვადიანი აქტივები	590,167
სულ აქტივები	966,217
მიმდინარე ვალდებულებები	923,603
კაპიტალი	42,614
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	966,217

	პერიოდის შედეგი მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის განხორციელების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავალი	333,560
ხარჯები	(795,904)
წლის წმინდა ზარალი	(462,344)

9. მარაგები

მარაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სამონტაჟო მასალები	588,092	233,681
კომპიუტერული მოწყობილობები	241,977	126,762
კამერები და ტელეფონები	236,396	107,118
საკეტები და უსაფრთხოების სისტემები	185,568	-
ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	176,347	223,976
სამუშაო აღჭურვილობა	119,663	192,772
სახანძრო სისტემები	111,900	64,621
კვების ბლოკი	41,377	95,792
საწვავი	5,574	17,008
სხვა	224,412	247,455
სულ	1,931,306	1,309,185

10. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია საგადასახადო აქტივს წარადგენს ნეტო ღირებულებით - 107,704 ლარისა და 77,169 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	598,896	1,530,286
საკონტრაქტო აქტივი	77,926	152,213
გაუფასურების ანარიცხი	(61,185)	(156,276)
ფინანსური მოთხოვნები - წმინდა	615,637	1,526,223
არაფინანსური მოთხოვნები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები*	2,106,394	66,468
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,722,031	1,592,691

*მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ALCATEL-LUCENT INTERNATIONAL-ისა და NOKIA SOLUTIONS AND NETWORKS CJSC-ისთვის გადახდილ თანხებს, რომელიც განკუთვნილია კომპანიის მიერ დაკონტრაქტებული სომხეთში განსახორციელებელი პროექტისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შეძენისთვის.

ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგს. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, ფინანსური მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე.

ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიმდინარე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და საკონტრაქტო აქტივები							
მთლიანი ღირებულება	590,424	1,003	15,486	28,109	7,178	34,622	676,822
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(5,904)	(30)	(1,549)	(14,055)	(5,025)	(34,622)	(61,185)

ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიმდინარე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და საკონტრაქტო აქტივები							
მთლიანი ღირებულება	924,990	545,941	67,062	7,178	56,585	80,743	1,682,499
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(9,250)	(16,378)	(6,706)	(3,589)	(39,610)	(80,743)	(156,276)

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	საკონტრაქტო აქტივები	მომწოდებლებზე ე გადახდილი ავანსები	სულ
1 იანვარი	(151,710)	(4,566)	-	(156,276)
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(37,771)	(779)	(30,868)	(69,418)
ამოღება	129,075	4,566	-	133,641
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	-	-	(30,868)	(30,868)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	91,304	3,787	-	95,091
31 დეკემბერი	(60,406)	(779)	-	(61,185)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	საკონტრაქტო აქტივები	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	სულ
1 იანვარი	(104,144)	(6,669)	-	(110,813)
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(129,706)	(4,566)	(54,843)	(189,115)
ამოღება	82,140	6,669	-	88,809
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	-	-	54,843	54,843
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(47,566)	2,103	-	(45,463)
31 დეკემბერი	(151,710)	(4,566)	-	(156,276)

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში (ლარში)	76,572	512,603
ფული ბანკში (უცხოურ ვალუტაში)	1,359,863	1,780,288
	1,436,435	2,292,891

კომპანიას 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე განთავსებული აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტი თანხით 9,128 და 101,244 ლარი, შესაბამისად, წლიური 5.1%-ით.

2019 წლის პერიოდში დეპოზიტებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 9,128 ლარი (2018: 0 ლარი).

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	წილი კაპიტალში	31 დეკემბერი 2019 და 2018
პაატა აროშიძე	43%	606
დავით გამცემლიძე	42%	592
გრიგოლ ცაავა	15%	212
	100%	1,410

კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაარსებისას შეადგენდა 1,100 აშშ დოლარს (1,410 ლარი). 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

2019 და 2018 წლებში მოხდა დივიდენდის გაცემა მეწილეებზე, საერთო თანხით 2,667,772 ლარი და 2,670,337 ლარი, შესაბამისად.

14. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სს „საქართველოს ბანკი“	512,832	133,830
	512,832	133,830

კომპანიამ სს „საქართველოს ბანკისგან“ მიიღო სასესხო ვალდებულება 2019 წლის 27 მაისს 65,000 აშშ დოლარის ოდენობით (186,401 ლარი) და 2019 წლის 5 აგვისტოს 100,000 ფუნტი (375,930 ლარი). ხელშეკრულებით განსაზღვრულია წლიური 9% და 8,5%, შესაბამისად.

2018 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულება სს „საქართველოს ბანკის“ მიმართ შეადგენს 50,000 აშშ დოლარს (133,830 ლარი). ხელშეკრულებით განსაზღვრულია წლიური 11%.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასესხო ვალდებულებები არის მოკლევადიანი. კომპანიას აღნიშნული საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაფარული აქვს დარიცხული საპროცენტო ვალდებულებები.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასესხო ვალდებულებები უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონებით - 1,900 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთით, რომელიც მდებარეობს სოფელ დილოში. უზრუნველყოფის ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება არსებითად ტოლია მათი რეალური ღირებულებისა.

2019 და 2018 დასრულებული წლებისთვის მიღებულ სესხებში ბრუნვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
1 იანვრისთვის	133,830	-
ფულადი მოძრაობა		
სესხის აღება	505,823	133,445
გადახდილი ძირი	(141,753)	-
გადახდილი პროცენტი	(19,646)	-
არაფულადი მოძრაობა		
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი*	19,646	-
გადაფასების ეფექტი	14,932	385
31 დეკემბრისთვის	512,832	133,830

*2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკრედიტივისა და გარანტიის ხარჯებმა შეადგინა 127,710 ლარი და 10,271 ლარი, შესაბამისად.

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	387,603	299,792
სხვა	-	16,943
	387,603	316,735
არაფინანსური ვალდებულებები		
საკონტრაქტო ვალდებულებები*	4,651,915	2,217,536
	5,039,518	2,534,271

*საკონტრაქტო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სომხეთში განსახორციელებელი პროექტისთვის მიღებულ თანხებს დამკვეთისა და კლიენტისგან (STE PMF TELLECOMMUNICATIONS HOLDING LTD და Supercom LLC, შესაბამისად) ოდენობით 2,446,621 ლარი და 1,362,276 ლარი, შესაბამისად.

16. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
ამონაგები დაცვითი მომსახურებიდან	7,242,604	11,560,032
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და მონტაჟიდან	6,952,120	3,883,236
ამონაგები სხვა მომსახურებიდან*	926,728	489,328
	15,121,452	15,932,596

*ამონაგები სხვა მომსახურებიდან მოიცავს სხვადასხვა სახის შემოსავლებს - სატელეკომუნიკაციო, საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურებიდან.

კომპანია ყველა სახის ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, გარდა დაცვის მომსახურებით მიღებული ამონაგებისა, რომელიც აღირიცხება დროთა განმავლობაში. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და სხვა მომსახურებებიდან ასევე მოიცავს დროთა განმავლობაში აღრიცხულ ოპერაციებს.

საკონტრაქტო აქტივებისა და ვალდებულებების შესრულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საკონტრაქტო აქტივი 2019	საკონტრაქტო ვალდებულება 2019	საკონტრაქტო აქტივი 2018	საკონტრაქტო ვალდებულება 2018
1 იანვარი	147,647	(2,217,536)	215,632	(44,633)
პერიოდის შემოსავლად აღიარება	2,197,446	1,744,725	145,544	-
საკონტრაქტო აქტივის ჩახურვა	(147,647)	-	(215,632)	-
საკონტრაქტო აქტივისა და ვალდებულების გადახურვა	(2,124,086)	2,124,086	-	-
საკონტრაქტო ვალდებულების აღიარება	-	(6,303,190)	-	(2,172,903)
საკონტრაქტო აქტივის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	3,787	-	2,103	-
31 დეკემბერი	77,147	(4,651,915)	147,647	(2,217,536)

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

17. მარაგების ხარჯი

მარაგების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
მარაგების საწყისი ნაშთი	1,309,185	1,196,666
მარაგების შეძენა	6,180,897	3,496,723
მარაგების ჩამოწრა*	(5,558,776)	(3,384,204)
მარაგების საბოლოო ნაშთი	1,931,306	1,309,185

*მარაგების გაუფასურების ხარჯმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 71,488 ლარი (2018: 0), შესაბამისად.

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების ხარჯები	(152,884)	(171,057)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(152,728)	(126,149)
მივლინების ხარჯები	(147,102)	(85,388)
ოფისის ხარჯები	(139,009)	(139,086)
კომუნიკაციის ხარჯები	(69,562)	(74,173)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები	(59,230)	(86,993)
ქონების დაზღვევის ხარჯი	(27,979)	(53,439)
კომუნალური ხარჯები	(24,311)	(23,317)
საბანკო ხარჯები	(17,188)	(14,439)
საგადასახდო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(9,189)	(33,333)
იჯარის ხარჯი	-	(151,405)
სხვა ხარჯები	(66,914)	(91,235)
	(866,096)	(1,050,014)

19. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გასცემს დივიდენდს. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიამ მეწილეებზე გაანაწილა დივიდენდი 2,667,772 ლარისა და 2,670,337 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

აღნიშნულ განაცემზე კომპანიამ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად 2019 და 2018 წლებში დაარიცხა მოგების გადასახადი $470,783$ ($2,667,772/0.85 \cdot 0.15$) ლარისა და $471,236$ ($2,670,337/0.85 \cdot 0.15$) ლარის ოდენობით, შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულებების აღიარება.

20. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი

კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ამ ცვლილების ეფექტი, მოცემულია ქვემოთ.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო საქმიანობა, როგორც მეიჯარეს.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალუა იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში.

როგორც მოიჯარე, კომპანია ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, კომპანია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

20. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (გაგრძელება)

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად კომპანიამ აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

კლასიფიკაცია ზასს 17-ით	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულება
საოპერაციო იჯარა	საოფისე ფართის იჯარისთვის: აქტივის გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრულ სასესხო განაკვეთად აშშ დოლარში განსაზღვრული იჯარებისთვის საშუალო შეწონილ განაკვეთად გამოყენებულ იქნა 7.52%-ი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

31 დეკემბერი 2018

	თავდაპირველად წარდგენილი	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	(ა)	- 596,993	596,993
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	(ბ)	- 596,993	596,993

(ა) აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება არის საოპერაციო ტიპის იჯარისთვის.

(ბ) ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებიდან ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებამდე.

	1 იანვარი 2019
შეუქცევადი პირობის საიჯარო გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	382,188
შეუქცევადი პირობის შეფასებითი საიჯარო გადასახდელები	321,276
მინიმალური საიჯარო გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	703,464
გამოკლებული: იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების ეფექტი პირველადი აღიარებისას	(106,470)
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	596,993

21. წინა წლის რეკლასიფიკაცია

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შემდეგი ცვლილებების განხორციელება, რადგანაც ამგვარი წარდგენა უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური შედეგების უკეთეს წარმოდგენას:

	ნაშთი ცვლილებამდე	ცვლილება	ნაშთი ცვლილების შემდეგ
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	(166,175)	(166,175)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	-	(100,306)	(100,306)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,326,766)	276,752	(1,050,014)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	-	(10,271)	(10,271)

22. პირობითი ვალდებულებები**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 215,525 ლარი.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოდგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2018			
ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ნაშთი მუხლის მიხედვით
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარე	16,943	2,534,271

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

2019			
ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ნაშთი მუხლის მიხედვით
სხვა საოპერაციო ხარჯი	დამფუძნებლები	(52,767)	(866,096)

2018			
ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ნაშთი მუხლის მიხედვით
სხვა საოპერაციო ხარჯი	დამფუძნებლები	(34,498)	(1,050,014)

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას. სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება არის 939,806 ლარი (2018: 1,314,373 ლარი).

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 11 მაისს შპს ვეზირის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით კომპანიის დირექტორად დაინიშნა პაატა აროშიძე.

2020 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში კომპანიამ რამდენიმე ტრანშად გასცა სესხი მეკავშირე საწარმოზე 488,000 ლარის ოდენობით, წლიური 18.6%-ით. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა.

ამის საფუძველზე, კორონავირუსის ეფექტი, ფასს-ების შესაბამისად, არის 'არა-მაკორექტირებელი მოვლენა', და აქედან გამომდინარე 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული პროგნოზები და შესაბამისი დაშვებები არ განიცდის ცვლილებას კორონავირუსთან დაკავშირებით. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს მთავრობის 181-ე დადგენილების საფუძველზე კომპანიას არ შეეხო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით გამოწვეული შეზღუდვები დაცვითი მომსახურების მიმართულებით. ამასთან ერთად, 2020 წლის ივნისში კომპანიამ სრულად აღადგინა საქმიანობა. ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიაზე ვირუსის შესაძლო ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით ეფექტს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „ზარალი საკურსო სხვაობიდან“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	3.7593
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	3.3955

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. ფინანსური აქტივები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია ფინანსური აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ აქტივი აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მიმდინარე ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებას.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 13 იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოითხოვს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაშიფვრას. რეალური ღირებულების იერარქებია:

- **დონე 1:** მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კოტირებული ფასები;
- **დონე 2:** სხვა, კოტირებული ფასებისგან განსხვავებული, 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება; და
- **დონე 3:** ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით.

რეალური ღირებულების იერარქიაში ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კატეგორია განისაზღვრება რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად შეფასებულია ამ სამიდან ერთ-ერთი დონით.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

კომპანია ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-20 შენიშვნა. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	-
აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	2-12
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება

კომპანია ფლობს გარკვეულ საინვესტიციო ქონებას კაპიტალის ზრდისთვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯს მოიცავს „ცვეთა და ამორტიზაცია“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანიის ამორტიზებული აქტივები მოიცავს პროგრამებს, ლიცენზიებსა და ვებ-გვერდს. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და არ გააჩნია კონტროლი. მნიშვნელოვანი გავლენას როგორც წესი თან ახლავს მეკავშირე საწარმოს წილის 20-50%-ის ფლობა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში დაბანდებულ ინვესტიციებს კომპანია აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული კომპანიის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. კომპანიის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. მიღებული დივიდენდებით მცირდება ინვესტიციის ოდენობა მეკავშირე საწარმოში.

თუ კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, კომპანია წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც კომპანიის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ კომპანიის მიერ მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მოგება-ზარალი, ელიმინირებულია ინვესტორის წილის პროპორციულად მეკავშირე საწარმოში.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ინვესტიციის მიმართ გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება ინვესტიციის ამოსაღები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების მეშვეობით. გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება და უქმდება იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა ხელსაყრელ ცვლილებას ამოსაღები თანხის განსაზღვრის შეფასებებში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შევსებულია კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც:

(ა) კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც არის წარსული ქმედების შედეგი;

(ბ) მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსის გასვლა ვალდებულების დასაფარად; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობა შესრულებულია.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის (იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის) ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების გაყიდვა, მათი მონტაჟი და შემდგომი მომსახურება, ასევე დაცვის მომსახურება.

კომპანიის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მოიცავს ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე საინსტალაციო სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავლებს. აღნიშნული შემოსავლები აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე ან აქტივთა ჯგუფზე გადაეცემა მომხმარებელს ან მოხდება მომსახურების მიწოდება.

გარიგების ღირებულების ნაწილის გადახდა ძირითადად ხდება ავანსად, ხოლო დარჩენილი ნაწილის ან სრული თანხის გადახდა დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის/მომსახურების შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე (არაუმეტეს). აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაგრამ ასევე მოიცავს ისეთ ოპერაციებსაც, რომელიც აღიარდება დროთა განმავლობაში (მაგ. საინსტალაციო/მონტაჟის მომსახურება).

შემოსავალი დაცვითი და სხვა მომსახურებიდან

შემოსავალი დაცვითი და სხვა მომსახურებებიდან მოიცავს შემოსავლებს დაცვითი მომსახურებიდან, სატელეკომუნიკაციო და საინჟინრო სისტემების შემდგომი მომსახურებიდან (მხარდაჭერა) და საკონსულტაციო მომსახურებიდან. აღნიშნული სახის შემოსავლები აღიარდება დროთა განმავლობაში. ყოველთვიური მომსახურებები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად. ხოლო, შემოსავალი ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება გაიწევა.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა/მომსახურების მიღება, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე.

შემოსავალი დაცვითი და სხვა მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, მაგრამ ასევე მოიცავს ისეთ ოპერაციებსაც, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული. სახელფასო ხარჯი მოიცავს ფიქსირებულ ხელფასებს, ბონუსებსა და არაფულად სარგებელს.

საპროცენტო ხარჯი

კომპანიის საპროცენტო ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებზე და საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ვეზირის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვეზირის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აღიარა ამონაგები 15,121,452 ლარისა და 15,932,596 ლარის ოდენობით, შესაბამისად, კომპანიის ამონაგების ნაწილი აღიარდება დროთა განმავლობაში და გადადის წლიდან წელში. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება შესრულებული სამუშაოს შესრულების პროპორციაზე, ღირებულებით 1,675,009 ლარი და 152,213 ლარი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, თუ რამდენად სწორად და სრულად არის აღიარებული ამონაგები აღნიშნულ პერიოდებში. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული გზითაც მოგვეპოვებინა მტკიცებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შესრულებული სამუშაოს პროპორციის სისწორის შესახებ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, ამონაგებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებთან დაკავშირებით რაიმე სახის კორექტირება.

კომპანიამ 2019 წელს შეიძინა 33.33%-იანი წილი მეკავშირე საწარმოში, რაშიც გადაიხადა 180,772 ლარი. კომპანიას არ გაუკეთებია ინვესტიციის შეძენის მომენტი მეკავშირე საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო რეალური ღირებულების კომპანიის წილის შეფასება და შედარება ინვესტიციის თვითღირებულებაზე, როგორც მოთხოვნილია ბასს 28-ით „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“. ასევე, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მეკავშირე საწარმოს საქმიანობის შედეგებზე შეძენის მომენტიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, ინვესტიციის საწყისი აღიარებისა და შემდგომი აღრიცხვის სისწორეზე და სისრულეზე. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, რაიმე სახის კორექტირება მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციასთან და მეკავშირე საწარმოში კომპანიის წილ მოგება-ზარალთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა

ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და

არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:
დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)



შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
22 ივნისი, 2020 წელი

შპს „ვეზირი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	503,041	645,114
საინვესტიციო ქონება	6	294,988	294,988
აქტივის გამოყენების უფლება	7	454,418	-
არამატერიალური აქტივები		27,500	32,500
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	8	26,673	-
		1,306,620	972,602
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	1,931,306	1,309,185
საგადასახადო აქტივები	10	107,704	77,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,722,031	1,592,691
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,436,435	2,292,891
		6,197,476	5,271,936
სულ აქტივები		7,504,096	6,244,538
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,410	1,410
გაუნაწილებელი მოგება		1,436,831	3,575,027
სულ კაპიტალი		1,438,241	3,576,437
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	7	376,982	-
		376,982	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	512,832	133,830
საიჯარო ვალდებულება	7	136,523	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,039,518	2,534,271
		5,688,873	2,668,101
სულ ვალდებულებები		6,065,855	2,668,101
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,504,096	6,244,538

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



პაატა აროშიძე

გიორგი პარკაია

10-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.